ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5328756

ნომერი: AR1811037

თარიღი : 15.03.2021

გაცემის თარიღი : 16.03.2021

გაცნობის თარიღი : 24.03.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 221 , კორპუსი 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბუქური პ/ნ 01025003639
- ტ. თბილისი, ვაშლიჯვარის დასახლება კორპ. 11. ბ.6

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან პანდუსის და ბაქანის მოწყობა ხდება საკადასტრო საზღვრის გარეთ ქალაქის ტერიტორიაზე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა პანდუსის და ბაქნის მოწყობის თაობაზე, შესაბამისი დანართებით.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - წარმოადგინეთ 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად შესრულებული საპროექტო დოკუმენტაცია, განმარტებითი ბარათით და შესაბამისი დეტალური ნახაზებით; წარმოდგენილი იქნას საპროექტო და არსებული ჭრილის ნახაზი, ელემენტების სრულყოფილად ჩვენებით, ნახაზზე დეტალურად ინქას მითითებული ზომები და ნიშნულები. სახეურიც არასწორია, გაასწორეთ ზემოაღნიშნული რეგლამენტის შესაბამისად. ნახაზზე ასევე ნაჩვენები იქნას კარის ზღურბლიც და დაცული იქნას ზემოთ ხსენებული სტანდარტებით გათვალისწინებული მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე.

3. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი" - წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია, წარმოადგინეთ ვადაში მყოფი განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძვლები და იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებებები წინასწარ თანხმობას არ ითვალისწინებს წარმოდგენილ იქნეს მეიჯარის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვა მოსარგებლეების ფართებს წარმოდგენილ იქნეს მათ თანხმობები თუ არ ეხებით განმარტეთ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.